

## ინოვაციური ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები

**აბსტრაქტი:** თანამედროვე ტენდენციებით ეკონომიკის განვითარების დღის წესრიგის არსი არის ინოვაციური ტექნოლოგიების პოტენციალის ათვისება. ინოვაციური ეკონომიკა მიზნად უნდა ისახავდეს ბიზნესისა და დასაქმებისთვის ხელსაყრელ გარემოს გაუმჯობესებას, წვდომას იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მომდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიური ცვლილებებიდან, ახალ გამოწვევებთან ადაპტაციისთვის. სტრუქტურული კრიზისი შეიძლება დაიძლიოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომლებიც ხსნის ახალ წარმოების შესაძლებლობებს, რაც უზრუნველყოფს გარღვევას ეკონომიკური ეფექტურობის გაუმჯობესებაში. ცნობიერების ამაღლება გაციფრულების უპირატესობების შესახებ, ციფრული კულტურის ჩამოყალიბება მცირე და საშუალო საწარმოებში, არის პირველი ნაბიჯი მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებისკენ.

ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისათვის აუცილებელია, განხორციელდეს ინოვაციებისა და ცოდნის კომერციალიზაცია. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი მცირე და საშუალო ბიზნესს უკავია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. ინოვაციური ეკონომიკა ქმინს კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

**ამოსავალი სიტყვები:** ინოვაცია, ინვესტიცია, ციფრული ეკონომიკა, სტრატეგია.

*Lasha Narsia*

### Development Prospects of Innovative Economy

**Abstract:** The essence of the agenda of economic development with modern trends is to harness the potential of innovative technologies. The innovative economy should aim at improving the business and employment-friendly environment, access to opportunities arising from innovative technological changes, and adapting to new challenges. The structural crisis can be overcome by the introduction of new technologies that open up new production possibilities, providing a breakthrough in improving economic efficiency. Raising awareness about the benefits of digitization, building a digital culture in SMEs is the first step towards digitization of SMEs.

For the accelerated growth of the economy, it is necessary to implement the commercialization of innovations and knowledge. The experience of developed countries has shown us that small and medium-sized businesses play an important role in the innovative development of the country. Therefore, it is necessary for the

*state to promote the innovative development of small and medium-sized businesses. An innovative economy creates a competitive advantage that is vital for the economic development of the country.*

**Keywords:** *Innovation, investment, digital economy, strategy.*

თანამედროვე პირობებში პოსტინდუსტრიული ეკონომიკის დაჩქარებული ტემპით განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში ცოდნაზე და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც პირველ რიგში მოითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებული ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებას. დენიელ ბელი პოსტინდუსტრიული თეორიის ერთ-ერთი ცნობილი ავტორია, რომელიც ინფორმაციული საზოგადოების დახასიათებას გვთავაზობს. ეს ტერმინები პრაქტიკაში სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება: ინფორმაციული საუკუნე გამოხატავს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, პოსტინდუსტრიალიზმი კი ხშირად განხილულია როგორც ინფორმაციული საზოგადოება. პოსტინდუსტრიული განვითარების ამჟამინდელი დროის კვლევისადმი, რაც იყო საზოგადოების ცნობიერების ევოლუციური შედეგი დეინდუსტრიალიზაციის შედეგების შესახებ. განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების განვითარების ეკონომიკურ დინამიკასთან დაკავშირებული ყველაზე მნიშვნელოვანი ტენდენციები მოიცავს რეინდუსტრიალიზაციას, ახალ ინდუსტრიალიზაციას, „ინოვაციური ინდუსტრიალიზაციას“, ნეონდუსტრიალიზაციას და სუპერინდუსტრიალიზაციას. თითოეულ ქვეყანას აქვს თავისი უნიკალური სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი პოტენციალი ჩაერთოს მსოფლიოს პოსტინდუსტრიულ განვითარებაში. მსოფლიოს ეკონომიკების პოსტინდუსტრიული მოდერნიზაციის პოლიტიკის ანალიზი, მათ შორის ლიდერობის სტრატეგიის განხორციელება. ზოგიერთი ქვეყნისთვის მიზანშეწონილია რეინდუსტრიალიზაციის სტრატეგია, რომელიც დაფუძნებულია ინდუსტრიული წარმოების ზრდაზე; სხვებმა უნდა გამოიყენონ ფუნდამენტურად ინოვაციური სტრატეგია, მაგალითად, ახალი ინდუსტრიალიზაცია (ინოვაცია) ან ამ სტრატეგიების კომბინაცია. სტრუქტურული კრიზისი შეიძლება დაიძლიოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვით, რომლებიც ხსნის ახალ წარმოების შესაძლებლობებს, რაც

უზრუნველყოფს გარღვევას ეკონომიკური ეფექტურობის გაუმჯობესებაში და ზრდის ახალ საფეხურზე გადასვლას.

პროდუქტიულობა ეკონომიკური ზრდის მთავარი გრძელვადიანი პროპელერია. ტექნოლოგიით გააქტიურებული ინოვაცია არის პროდუქტიულობის ზრდის მთავარი სტიმული. თუმცა, პარადოქსულად, პროდუქტიულობის ზრდა შენედა ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გამო. განვითარებულ ეკონომიკებს შორის ბოლო 15 წლის განმავლობაში, ის საშუალოდ წინა 15 წლის ტემპის ნახევარზე ნაკლები იყო. ტექნოლოგიურ ზღვარზე მყოფმა ფირმებმა მიიღეს პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მაგრამ გავლენა პროდუქტიულობაზე უფრო ფართოდ ფირმებში სუსტი იყო. ახალი ტექნოლოგიები მიდრეკილია აწარმოოს კონკურენტუნარიანი პროდუქცია. დომინანტურმა ფირმებმა შეიძინეს მეტი საბაზრო ძალა, ბაზრის სტრუქტურები ნაკლებად კონკურენტუნარიანი გახდა და ბიზნესის დინამიზმი შემცირდა.

თანამედროვე ტენდენციებით წინსვლის პოლიტიკის დღის წესრიგის არსი არის ახალი ტექნოლოგიების პოტენციალის უკეთ ათვისება. რეფორმები მიზნად უნდა ისახავდეს ფირმებისა და დასაქმებისთვის ხელსაყრელ გარემოს გაუმჯობესებას, წვდომას იმ შესაძლებლობებზე, რომლებიც მომდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიური ცვლილებებიდან ახალ გამოწვევებთან ადაპტაციისთვის.

პოლიტიკამ და ინსტიტუტებმა, რომლებიც მართავს ბაზრებს, უნდა შეინარჩუნონ განვითარების დინამიური ტემპი, რადგან ტექნოლოგიური ცვლილება გარდაქმნის ბიზნესის სამყაროს. კონკურენციის პოლიტიკა უნდა განახლდეს ციფრული ეპოქისთვის, რათა უზრუნველყოს ფირმებისთვის ღია და თანაბარი სათამაშო პირობების შექმნა, კონკურენციის შენარჩუნება და მონოპოლისტური სტრუქტურების ზრდის შემცირება. ქმედითი მარეგულირებელი საკითხები, ციფრული ეკონომიკის სასიცოცხლო წყაროა. ბაზრებზე მოქნილობა მნიშვნელოვანი იქნება ციფრული ტრანსფორმაციის შეფერხებებისა და სტრუქტურული ცვლილებების შესწორების გასაადვილებლად.

ინოვაციების ეკოსისტემამ უნდა გააგრძელოს ტექნოლოგიური საზღვრების წინსვლა, ასევე ხელი შეუწყოს ახალი მიღწევების უფრო ფართო ეკონომიკურ გავლენას. მას შემდეგ, რაც ცოდნის არამატერიალური აქტივი ხდება ეკონომიკური წარმატების სულ უფრო

მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა, უნდა გაუმჯობესდეს კვლევისა და განვითარების სისტემები, პატენტის რეჟიმები, რათა ხელი შეუწყოს ტექნოლოგიების უფრო ფართო გავრცელებას, რომლებიც განასახიერებს ახალ ცოდნას.

ციფრული ინფრასტრუქტურისა და ციფრული წიგნიერების საფუძველი უნდა გაძლიერდეს. მართალია ციფრული უფსკრული ვიწროვდება, მაგრამ მაინც რჩება გარკვეული ხარვეზები.

ინვესტიციები განათლებასა და ტრენინგში უნდა გაიზარდოს, რათა შეუწყოს მომავლის სამუშაო უნარების განვითარებას. მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე, აუცილებელია უწყვეტი სწავლის პროცესი. რისთვისაც სასწავლო პროგრამები უნდა გაფართოვდეს.

შრომის ბაზრის პოლიტიკა უფრო პერსპექტიული უნდა გახდეს, აქცენტი გაკეთდეს არსებული სამუშაოების დასაცავად მუშაკთა სამუშაო უნარის გაუმჯობესებაზე. სოციალური დაცვის სისტემები, რომლებიც ტრადიციულად ეფუძნება დამსაქმებელ-თანამშრომლის ფორმალურ გრძელვადიან ურთიერთობებს, უნდა მოერგოს უფრო დინამიურ სამუშაო ბაზარს. სოციალური კონტრაქტები უნდა შეესაბამებოდეს სამუშაოს ცვალებად ბუნებას.

საგადასახადო სისტემები უნდა გადაიხედოს ციფრული ეკონომიკის ახალი საგადასახადო გამოწვევების გათვალისწინებით, მათ შორის ბიზნესსა და სამუშაოში მომხდარი ტრანსფორმაციებისა და შემოსავლის განაწილების ახალი დინამიკის გათვალისწინებით. პოტენციური საგადასახადო რეფორმის დღის წესრიგი მოიცავს შრომის, კაპიტალისა და სიმდიდრის გადასახადებს.

2020 წელს ძალაში შევიდა შეერთებული შტატები-მექსიკა-კანადის შეთანხმება (USMCA), რომელმაც შეცვალა ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (NAFTA) და შექმნა ახალი ჩარჩო ჩრდილოეთ ამერიკის სავაჭრო ურთიერთობებისთვის.<sup>1</sup>

Brookings USMCA ინიციატივა, რომელიც განლაგებულია გლობალური ეკონომიკისა და განვითარების პროგრამაში, მუშაობს შეთანხმების ეფექტურობისა და იმპლემენტაციის

---

<sup>1</sup> <https://www.brookings.edu/project/usmca-initiative/>

შესაფასებლად, ისევე როგორც მისი გავლენა პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაზე მომავალი კვლევების, მონაცემებისა და ანალიზის მეშვეობით.

ჩრდილოეთ ამერიკის ლიდერთა სამიტზე 2023 წლის იანვარში, ჩრდილოეთ ამერიკის სამი ლიდერი ასევე შეთანხმდნენ ითანამშრომლონ მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ ინიციატივებზე ნახევარგამტარებისა და კრიტიკული მინერალების ირგვლივ. ჩრდილოეთ ამერიკაში მიწოდების ჯაჭვებზე მიმდინარე აქცენტი გამოწვეულია სამი დაკავშირებული განვითარებით. პირველი არის ჩინეთის, როგორც სტრატეგიული კონკურენტის შეხედულება და ჩინეთის, როგორც მიწოდების წყაროზე დაყრდნობის რისკები. ჩინეთის მზადყოფნა, შეზღუდოს ვაჭრობა მთავრობებზე ზეწოლის მიზნით. ხაზგასმით აღინიშნა, თუ როგორ ხდება იძულებით ჩრდილოეთ ამერიკის სავაჭრო დამოკიდებულება ჩინეთზე. ამ თვალსაზრისით, ჩრდილოეთ ამერიკის მიწოდების ჯაჭვების გაძლიერება ეროვნული უსაფრთხოების მიზანია. მეორეც, COVID-19-ის პანდემიამ გამოავლინა გლობალური მიწოდების ჯაჭვების სისუსტე, სადაც ბიზნესის პრიორიტეტი ეფექტურობაზე, დროულად წარმოებაზე და მარაგებზე გახადა დაუცველი შეფერხების მიმართ. მესამე, სამუშაოების დაკარგვამ წარმოებაში გამოიწვია ფოკუსირება წარმოების გაძლიერებაზე და ჩრდილოეთ ამერიკის მიწოდების ჯაჭვების გაფართოებაზე, როგორც მასშტაბის, ეფექტურობისა და კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალა.<sup>2</sup>

თანამედროვეობის გლობალური განვითარების შეფერხებები, პანდემია და ჩაკეტვა, შიმშილი და კონფლიქტი, სავალო კრიზისები და ინფლაცია, ასევე გარკვეული პოზიტიური გამარჯვებები, გვადლევს გარკვეულ საფუძველს ვიყოთ უფრო ოპტიმისტური 2023 წელს და მის შემდგომ.

გაციფრულების უპირატესობების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ციფრული კულტურის ჩამოყალიბება მცირე და საშუალო საწარმოებში ცნობიერების ამაღლება არის პირველი ნაბიჯი მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებისკენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მცირე და საშუალო ბიზნესის ცოდნის ნაკლებობა ციფრული ტექნოლოგიების და მათი სარგებლობის შესახებ არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც აძლიერებს უფსკრული მცირედა დიდ ფირმებს შორის. ისინი ხშირად ხედავენ გაციფრულებას, როგორც ხარჯებთან

---

<sup>2</sup> <https://www.brookings.edu/essay/usmca-forward-2023-introduction/>

დაკავშირებულ ფაქტორს და არა როგორც შესაძლებლობას. ციფრულ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელმა ერთი ფანჯრის პრინციპით მომუშავე სააგენტომ უნდა განახორციელოს ინიციატივები ამ პრობლემის დასაძლევად. ეს შეიძლება იყოს საექსპერტო ვებინარები, სემინარები, სპეციალური ღონისძიებები, რომელშიც წარმოდგენილია ციფრული ტრანსფორმაციის წარმატებული მაგალითები, სხვადასხვა სექტორში, ან ერთ კონკრეტულ ტექნოლოგიაზე ორიენტირებით. ასევე შეიძლება სასარგებლო იყოს მატერიალური გადაწყვეტილებები, როგორცაა სასწავლო პლატფორმები და სახელმძღვანელოები.<sup>3</sup>

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP) წარმოადგენს ევროკავშირის ურთიერთობის საფუძველს მის 16 უახლოეს აღმოსავლეთ და სამხრეთ მეზობელთან. რომელითაც ისახავს ათი ძირითად მიზანს 2025 წლისთვის.

დღის წესრიგის ფარგლებში მომავალი პრიორიტეტული საქმიანობის სახით განისაზღვრა ათი ძირითადი მიზანი 2025 წლისთვის<sup>4</sup>:

-ინვესტირება კონკურენტულ და ინოვაციურ ეკონომიკაში – 500,000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა;

-ინვესტირება კანონის უზენაესობაში – ყველა მაღალი რანგის ოფიციალური პირი აქვეყნებს დეკლარაციას საკუთარი ეკონომიკური აქტივების შესახებ, და ხდება მათი დადასტურება;

-ინვესტირება მდგრად და გონივრული კავშირებში – შენდება ან რეაბილიტაცია უტარდება 3,000 კმ პრიორიტეტულ გზებს და რკინიგზებს;

-ინვესტირება ადამიანებში და ცოდნაში – 70,000-მდე ინდივიდუალური მობილობის შესაძლებლობა სტუდენტების, პერსონალის, მეცნიერების, ახალგაზრდების და ახალგაზრდობის საქმეზე მომუშავე ადამიანებისთვის;

-ინვესტირება უსაფრთხოებაში და კიბერუსაფრთხოების მუქარისადმი მდგრადობაში;

---

<sup>3</sup> ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში © OECD 2022. გვ 119

<sup>4</sup> <https://euneighbourseast.eu/ka/policy/>

– გაძლიერებული ჩარჩოს შექმნა ჰიბრიდული საფრთხეების ამოცნობის და მათი დაძლევის მიზნით;

-პარტნიორების პოტენციალის გაძლიერება კიბერუსაფრთხოების მუქარისადმი მდგრადობის გასაძლიერებლად და კიბერდანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად;

-ინვესტირება მდგრად ენერგეტიკაში – 250,000 შინამეურნეობა ენერჯის მოხმარებას მინიმუმ 20%-ით ამცირებს;

-ინვესტირება გარემოს დაცვის და კლიმატის საკითხებში – დამატებით 3 მლნ ადამიანისთვის ხდება ხელმისაწვდომი უსაფრთხო წყლის სერვისები;

-წარმოებს ჰაერის ხარისხის კონტროლი და მისი გაჯანსაღება 300 ქალაქში;

-ინვესტირება ჯანმრთელობის სიცოცხლისუნარიანობაში – 850,000 ჯანდაცვის მუშაკი ვაქცინირებულია, სარგებლობს უკეთესი აღჭურვილობით და გაუმჯობესებული მკურნალობის და შრომის პირობებით

-ინვესტირება ინკლუზიურ, გენდერულად თანასწორ და მრავალფეროვან საზოგადოებებში, და სტრატეგიულ კომუნიკაციაში – ხორციელდება სამოქალაქო საზოგადოების 2,500 ადგილობრივი ორგანიზაციის, 120 დამოუკიდებელი მედია-საშუალების და 2,000 ჟურნალისტის მხარდაჭერა;

ინვესტირება ციფრულ ტრანსფორმაციაში – მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი შინამეურნეობების 80%-ისთვის არის ხელმისაწვდომი.

ვფიქრობთ მსგავსი სტრატეგიული მიდგომა მნიშვნელოვნად გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ მოქნილობას და ინვესტიციური შიმშილის შემცირებას. ამ მიმართულებით საინტერესოა ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების შედარებითი ანალიზი.

### **ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების შედარებითი ანალიზი <sup>5</sup>**

---

<sup>5</sup> ირაკლი ჯანგაძე .ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021

ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების შედარებითი ანალიზი კრიტერიუმები	ევროატლანტიკური მოდელი  (დასავლეთ ევროპის ქვეყნები)	აღმოსავლეთ აზიური მოდელი  (კორეის რესპ. ჩინეთი, სინგაპური, ტაივანი, ჰონგკონგი)	ალტერნატიული მოდელი  (ჩილე, ტაილანდი, თურქეთი, პორტუგალია)	სამმაგი სპირალის მოდელი  (აშშ, ნაწილობრივ ევროპა)
მოდელის ბირთვი	უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები	კორპორაციების ბაზაზე შექმნილი ლაბორატორიები	უნივერსიტეტები და ტექნოპარკები	მეცნიერება + სახელმწიფო + ბიზნესი (მჭიდრო ურთიერთკავშირი)
ინოვაციური ციკლის ეტაპები	სრული ინოვაციური ციკლი	ამოღებულია ფუნდამენტური მეცნიერების რგოლი	ამოღებულია ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების რგოლი	სრული ინოვაციური ციკლი
სახელმწიფოს როლი	ინოვაციური პროექტების დაფინანსება; კომერციალიზაციის ხელშეწყობა; კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა	ტექნოლოგიების მიბაძვა; ჰაიტექ (High Tech) პროდუქციის ექსპორტი	კვალიფიციური საკადრო პოლიტიკა (High Hume); პრიორიტეტების გამოყოფა	ტექნოლოგიური განვითარებისა და კომერციალიზაციის სტიმულირება
დაფინანსების თავისებურებები	ძირითადად გამოიყენება სახელმწიფო გრანტები	სჭარბობს კერძო სექტორის დანახარჯები	სჭარბობს სახელმწიფო დანახარჯები	დომინირებს ვენჩურული კაპიტალი
სტიმულირების მეთოდები	საკანონმდებლო, ფინანსური, საგადასახადო	ორგანიზაციული პირობების შექმნა	ორგანიზაციული პირობების შექმნა	საკანონმდებლო, ფინანსური, საგადასახადო

როგორც ინოვაციური განვითარების სტრატეგიული მოდელების შედარებითი ანალიზიდან ჩანს, ის მოიცავს ევროატლანტიკურ, აღმოსავლეთ აზიურ, ალტერნატიულ და სამმაგი სპირალის მოდელებს. თითოეულ მოდელში მნიშვნელოვანია: უნივერსიტეტები და კვლევითი ცენტრები; უნივერსიტეტები და ტექნოპარკები; ტექნოლოგიური განვითარებისა და კომერციალიზაციის სტიმულირება; ინოვაციური პროექტების დაფინანსება; კომერციალიზაციის ხელშეწყობა; კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა .

ეკონომიკის დაჩქარებული ზრდისათვის აუცილებელია, განხორციელდეს ინოვაციებისა და ცოდნის კომერციალიზაცია. დღესდღეობით, სახელმწიფოს და კერძო

სექტორის მიერ დაფინანსებულ ინოვაციურ პროექტებს არ აქვს მასშტაბური ხასიათი, ინფრასტრუქტურის ელემენტები წარმოდგენილია რამდენიმე ობიექტით, რომელთა უმრავლესობა დიდ ქალაქებშია განთავსებული. თითქმის არ ხორციელდება საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციები.

ისმის კითხვა -რატომ ახორციელებენ კომპანიები ინვესტიციას კვლევასა და განვითარებაში?

კომპანიისთვის კვლევასა და განვითარების ღონისძიებებს და მასში ინვესტიციას რამდენიმე უპირატესობა აქვს. კერძოდ:<sup>6</sup> ახალი და გამოცდილი კადრების მოზიდვის შესაძლებლობა; ინვესტიციის მოზიდვის მაღალი ალბათობა; ხარჯების შემცირება გრძელვადიან პერიოდში; მოგების გაზრდა; ახალი ინოვაციური პროდუქტების შექმნა, მომსახურების ან პროცესების გაუმჯობესება; რისკების შემცირება; გუნდური გარემოს შექმნა; თანამშრომლების ინოვაციური აზროვნების განვითარება.

განხორციელებული ინოვაციების განაწილება კატეგორიების მიხედვით, %<sup>7</sup>

**განხორციელებული ინოვაციების განაწილება კატეგორიების მიხედვით, %**

	2016	2017	2018	2019	2020	2021
<b>ახალი ბაზრისთვის</b> (ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/ მომსახურება) შეტანილია ბაზარზე კონკურენტებზე ადრე, თუმცა იგი შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს სხვა ბაზრებზეც)	5 1.8%	5 7.9%	5 5.1%	4 8.1%	5 2.6%	3 9.4%
<b>ახალი საწარმოსთვის</b> (საწარმომ შემოიტანა ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება),	4 8.2%	4 2.1%	4 4.9%	5 1.9%	4 7.4%	6 0.6%

<sup>6</sup> <https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/ratom-aris-kvleva-da/354208>

<sup>7</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2021)

რომელიც კონკურენტებს უკვე ჰქონდათ შემოტანილი ბაზარზე)						
<b>სულ</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>	<b>1</b> <b>00.0%</b>

როგორც განხორციელებული ინოვაციების განაწილება კატეგორიების მიხედვით საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2021) ცხრილიდან ჩანს **ახალი ბაზრისთვის** (ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/ მომსახურება) შეტანილია ბაზარზე კონკურენტებზე ადრე, თუმცა იგი შეიძლება უკვე წარმოდგენილი იყოს სხვა ბაზრებზეც) პროცენტული მაჩვენებელი 52 დან 40 პროცენტამდე მერყეობს. ხოლო **ხალი საწარმოსთვის** (საწარმომ შემოიტანა ინოვაციური პროდუქცია (საქონელი/მომსახურება), რომელიც კონკურენტებს უკვე ჰქონდათ შემოტანილი ბაზარზე) პროცენტული მაჩვენებელი 49 დან 61 პროცენტამდეა.

**ბიზნეს პროცესებში დანერგილი ინოვაციების განაწილება შემუშავების კატეგორიების მიხედვით<sup>8</sup>**

	<b>2020</b>	<b>2021</b>
შეიმუშავა უშუალოდ საწარმომ	62.5%	58.3%
საწარმომ შეიმუშავა სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად	16.3%	15.1%
საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული ინოვაციების ადაპტირება - მოდიფიცირება	9.3%	13.8%
საწარმოში დანერგეს სხვა საწარმოებების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული	11.9%	12.9%
<b>სულ</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

**საწარმოთა წილი, რომელთაც დანერგეს ინოვაციები ბიზნეს პროცესებში შემუშავების კატეგორიების მიხედვით**

	<b>2020</b>	<b>2021</b>

<sup>8</sup> <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba#>

შეიმუშავა უშუალოდ საწარმომ	81 .1%	79.7%
საწარმომ შეიმუშავა სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად	21 .8%	20.6%
საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული ინოვაციების ადაპტირება - მოდიფიცირება	12 .5%	18.9%
საწარმოში დანერგეს სხვა საწარმოებების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული	15 .9%	17.6%

ბიზნეს პროცესებში დანერგილი ინოვაციების განაწილება შემუშავების კატეგორიების მიხედვით და საწარმოთა წილი, რომელთაც დანერგეს ინოვაციები ბიზნეს პროცესებში შემუშავების კატეგორიების მიხედვით შეიმუშავა უშუალოდ საწარმომ, საწარმომ შეიმუშავა სხვა საწარმოებთან ან დაწესებულებებთან ერთად, საწარმომ განახორციელა სხვა საწარმოების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული ინოვაციების ადაპტირება - მოდიფიცირება, საწარმოში დანერგეს სხვა საწარმოებების ან დაწესებულებების მიერ შემუშავებული.

ინოვაციური ეკონომიკა ქმინს კონკურენტულ უპირატესობას, რომელიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ქვეყნის ინოვაციურ განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი მცირე და საშუალო ბიზნესს უკავია. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფომ ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციურ განვითარებას. ინოვაციური ტექნოლოგიები ასევე ზრდის კონკურენტულ უპირატესობას. კონკურენტული უპირატესობა კი უნდა იყოს მდგრადი, საშუალო ან გრძელვადიან პერსპექტივაში და ასახავდეს ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

### ლიტერატურა:

ირაკლი ჯანგაძე, *ინოვაციური ეკონომიკის საფუძვლები*, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. 2021. გამომცემლობა „უნივერსალი“, 2021.

ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში. © OECD 2022.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საწარმოთა ინოვაციური აქტივობა (2016-2021)

<https://euneighbourseast.eu/ka/policy/>

<https://www.brookings.edu/project/usmca-initiative/>

<https://www.brookings.edu/essay/usmca-forward-2023-introduction/>

<https://www.entrepreneur.com/ka/siakhleebi-da-tendentsiebi/ratom-aris-kyleva-da/354208>